1964/2.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (237) 10 თებერვალი 1964 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

66. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გადასაყვანი მანეთებით მრავალმხრივი ანგარიშსწორებისა და ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის დაარსების თაობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
67. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კენიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამხ. ვ. ს. ლავროვის დანიშვნის შესახებ.
68. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ რატიფიცირებულ იქნეს წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის ზღვის მწავის შენარჩუნების თაობაზე დადებულ დროებით კონვენციაში შესწორებათა შეტანის ოქმი.
69. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იორდანიის ხაშიმიტურ სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამხ. პ. კ. სლიუსარენკოს დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

70. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
71. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. სკრიპნიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
72. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. დ. ვორონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
73. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ტ. ბაზაროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
74. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ა. ა. ხარკევიჩის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
75. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ვ. ბოიკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

9369

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა შვეიცის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გ. ვ. იარინგმა.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გარდაბნის რაიონის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დასახლებისა და სოფელ ჟდანოვკის დაბა გარდაბანთან შეერთების შესახებ.
77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ
78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ხაშურის, გორისა და მცხეთის რაიონებში ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.
79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
81. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „ასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

განყოფილება მეორე

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 გადასაყვანი მანეთებით მრავალმხრივი ანგარიშსწორებისა და ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის დაარსების თაობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება გადასაყვანი მანეთებით მრავალმხრივი ანგარიშსწორებისა და ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის დაარსების შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 22 ოქტომბერს, რატიფიცირებულ იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 იანვარი.
№ 2147-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 კენიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამხ. ვ. ს. ლავროვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვლადიმერ სერგის ძე ლავროვი კენიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 იანვარი.
№ 2149-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 იმის შესახებ, რომ რატიფიცირებულ იქნეს წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის ზღვის მწავის შენარჩუნების თაობაზე დადებულ დროებით კონვენციაში შესწორებათა შეტანის ოქმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის ზღვის მწავის შენარჩუნების თაობაზე დადებულ დროებით კონვენციაში შესწორებათა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანის ოქმი, ხელმოწერილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მიერ ვაშინგტონში 1963 წლის 8 ოქტომბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 იანვარი.
№ 2164-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 იორდანიის ხაშიმიტურ სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამხ. პ. კ. სლიუსარენკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პეტრე კონსტანტინეს ძე **სლიუსარენკო** იორდანიის ხაშიმიტურ სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 იანვარი.
№ 2165-VI.

განკოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. მასმაილ ყიზი **ბაგდაგულეს** — კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.

2. ხენითე სულეიმანის ასულ **ბედინაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი დოლოგანი.

3. მინადორა ივანეს ასულ **გაგნიძეს** — დიასახლისს, ლენტეხის რაიონის სოფელი ნაცული.

4. ბაგდე მახმუდ ყიზი **გაჯიევას** — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი ილმაზო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ლიდა ერმილეს ასულ **გოგუაძეს** — დიასახლისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელი ჯურუკვეთი.

6. ვასასი ლუკას ასულ **ჯამბურიძეს** — დიასახლისს, ლენტეხის რაიონის სოფელი მამი.

7. ვარდო დომეს ასულ **კალოევას** — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონი.

8. ანიჩკა არსენის ასულ **კაროიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი აზავრეთი.

9. შურიშე დევეთის ასულ **კვიციანს** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, მესტიის რაიონი.

10. ტატიანა პროკოფის ასულ **კირიჩენკოს** — დიასახლისს, გურჯაანის რაიონის სოფელი მუკუზანი.

11. მახმად ყიზი **საკინეს** — კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.

12. ნატალია პეტრეს ასულ **ჭელიძეს** — კოლმეურნეს, ლენტეხის რაიონის სოფელი ჩიხარეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 27 იანვარი.
№ 2159-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 ამხ. მ. ნ. სკრიპნიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცწელთან დაკავშირებით ამხ. მარიამ ნიკოლოზის ასული **სკრიპნიკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 28 იანვარი.
№ 2163-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 ამხ. ფ. დ. ვორონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

შავი მეტალურგიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორი ამხ. ფეოდოსი დეონისის ძე ვორონოვი დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 იანვარი.
№ 2178-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 ამხ. ს. ტ. ბაზაროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მექსიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. სიმონ ტარასის ძე **ბაზაროვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 1 თებერვალი.
№ 2189-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ა. ა. ხარკევიჩის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რადიოტექნიკის, ელექტროაკუსტიკის და სპეციალური ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ხარკევიჩი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 3 თებერვალი.
№ 2194-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 ამხ. ლ. ვ. ბოიკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო სანაოსნოს მყვინთავი ამხ. ლეონიდე ვასილის ძე **ბოიკო** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 3 თებერვალი.
№ 2195-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა შვეციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გ. ვ. იარინგმა

ა. წ. 31 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. კულატოვმა კრემლში მიიღო შვეციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გუნარ ვ. იარინგი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ლ. ფინმარკი, პირველი მდივანი ხ. კოლიანდერი, ატაშე მ. ვალკვისტი, მდივანი-არქივისტი რ. ენერბიუ, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი ბ. ელმი, სამხედრო-საზღვაო ატაშე კაპიტანი ბ. უდინი, მრჩეველი გ. ლუნდსტრემი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ლ. ორლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ა. ე. კოვალიოვი და თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ტ. კულატოვი ესაუბრა გ. ვ. იარინგს. საუბარში მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ა. ლ. ორლოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 გარდაბნის რაიონის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დასახლებისა და სოფელ ჟდანოვკის დაბა გარდაბანთან შეერთების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ტერიტორიულად შეზრდის გამო დაბა გარდაბანს შეუერთდეს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურების დასახლება და სოფელი ჟდანოვკა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 28 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 საქართველოს სსრ ზოგიერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობანი და გატარდეს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებანი:

ხაშურის რაიონში:

გამოეყოს სოფელი ტკოცა წაღვლის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ფლევის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფლები: ნაბახტევი, კლდისწყარო და ზემო აძვისი გომის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ალის სასოფლო საბჭოს.

ყვარლის რაიონში:

გამოეყოს სოფელი სანავარდო სანავარდოს სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ყვარლის საქალაქო საბჭოს.

გადატანილ იქნეს სანავარდოს სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ სანავარდოდან სოფელ კუჭატანში და შემდგომში ეწოდოს კუჭატნის სასოფლო საბჭო და დაექვემდებაროს მას სოფლები: კუჭატანი და წიწკანაანთსერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეყოს სოფელი ალმატი საბუის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ენისლის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი თამარიანი და ერეთისკარი ვარდისუბნის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ულიანოვკის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი თელა ბაისუბნის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ცოდნისკარის სასოფლო საბჭოს.

მცხეთის რაიონში:

გამოეყოს სოფელი იგოეთი და რგვალიჭალა იგოეთის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ოკამის სასოფლო საბჭოს.

გადატანილ იქნეს იგოეთის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ იგოეთიდან სოფელ სამთავისში და შემდგომში ეწოდოს სამთავისის სასოფლო საბჭო და დაექვემდებაროს მას სოფლები: სამთავისი, ბოჟამი და თოგოიანთკარი.

ახმეტის რაიონში:

გამოეყოს სოფლები: ოსიაური, კოჯორი, საჩალე და ახალშენი ქისტაურის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ახმეტის სადაბო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი წინუბანი დუისის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს მატნის სასოფლო საბჭოს

გაუქმდეს ქისტაურის სასოფლო საბჭოს სოფელი ნაკალოვარი მოსახლეობის გეგმიური წესით სხვა ადგილებში ჩასახლებასთან დაკავშირებით.

ბოლნისის რაიონში:

გამოეყოს სოფელი ახა გომარეთის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ყარაბულახის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი დალარი ამამლოს სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს დმანისის სადაბო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი ალავარი ყიზილ-აჯლოს სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს თამარისის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი პატარა მუღანლო ყიზილ-აჯლოს სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს იმირასანის სასოფლო საბჭოს.

ზუგდიდის რაიონში:

გამოეყოს სოფელი ერგეტა ერგეტის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ანაკლიის სასოფლო საბჭოს.

გადატანილ იქნეს ერგეტის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ერგეტიდან სოფელ ორულუში და შემდგომში ეწოდოს ორულუს სასოფლო საბჭო და დაექვემდებაროს მას სოფლები: ორულუ, ცვანე, ნაჭკადუ და მოგირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეყოს სოფელი ახალკახათი კოკის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს კახათის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი შამადელა აბასთუმნის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ნარაზენის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფლები გვიმარონი და ჭითაუშკური შუა ქვალონის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ქვემო ქვალონის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფელი ზედა ეწერი კორცხელის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ჩხორიის სასოფლო საბჭოს.

მაიაკოვსკის რაიონში:

გადატანილ იქნეს როხის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ როხიდან სოფელ ვარციხეში და შემდგომში ეწოდოს ვარციხის სასოფლო საბჭო.

გამოეყოს დიმის სასოფლო საბჭოს სოფლები: როკითი და დიდველა და მიეკუთვნოს ვარციხის სასოფლო საბჭოს.

ცხაკაიას რაიონში:

გამოეყოს სოფელი პირველი ნოსირი ნოსირის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ძველი სენაკის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს სოფლები საგაბესკირიო და სკურია ხორუის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს მენჯის სასოფლო საბჭოს.

ამბროლაურის რაიონში:

გამოეყოს სოფელი ჭიბრევი ბარის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს ფარახეთის სასოფლო საბჭოს.

საჩხერის რაიონში:

გამოეყოს სოფელი კალვათა ქორეთის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს საირხის სასოფლო საბჭოს.

ჭალოვნის სასოფლო საბჭოს, ცენტრის სახელწოდების შესაბამისად, ეწოდოს ხვაშითის სასოფლო საბჭო.

წყალტუბოს რაიონში:

გამოეყოს სოფელი ხომული წყალტუბოს სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნოს გუმბრის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 საქართველოს სსრ ხაშურის, გორისა და მცხეთის რაიონებში ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ხაშურის რაიონს აბისის, ავლევის, ქვენატკოცის, ბრეძის, გვერძინეთის, ზღუდრის, ლირბის, კეხიჯვრის, დვანის სასოფლო და ავარის სადაბო საბჭოების ტერიტორია და მიეკუთვნოს გორის რაიონს.

გამოეყოს გორის რაიონს დოესის, ზემო ხანდაკის, ყარაღაჯის და ხოვლის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და მიეკუთვნოს მცხეთის რაიონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი. 1964 წლის 28 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ამხანაგური სასამართლოების დებულებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. დებულების 2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე ნაწილი:

„ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს ან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით ცალკეულ შემთხვევებში ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას კოლექტივებში, სადაც 30 კაცზე ნაკლებია“.

2. დადგინდეს, რომ ამხანაგურ სასამართლოებს ირჩევენ ორი წლის ვადით.

ამის შესაბამისად დებულების 3 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ერთი წლის ვადით“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი წლის ვადით“.

3. დებულების 4 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ამხანაგური სასამართლოები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებს წელიწადში ერთხელ მაინც“.

4. დებულების 5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 5. ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ ისეთ საქმეებს, როგორიც არის:

1) შრომის დისციპლინის დარღვევა. მათ შორის: არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენა, სამუშაოზე დაგვიანებით მოსვლა ან სამუშაოდან ნაადრევად წასვლა; სამუშაოს უხარისხოდ შესრულება ან მოვალეობისადმი არაკეთილსინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღისიერი დამოკიდებულების შედეგად მოცდენა; უსაფრთხოების ტექნიკის და შრომის დაცვის სხვა წესების დაუცველობა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებსაც მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა; მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად ინვენტარის, ხელსაწყოიარაღების, მასალისა და სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება, დაკარგვა, დაზიანება, თუ ამას მნიშვნელოვანი ზარალი არ მოჰყოლია;

სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ჩარხების, ხელსაწყო-იარაღების, ნედლეულისა და სხვა ქონების პირადი მიზნით თვითნებურად გამოყენება. თუ ამ მოქმედებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუყენებია აღნიშნული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის;

პირველად ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების მოხმარებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირე ღირებულების საგნების პირველად ჩადენილი ქურდობა, იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან;

შენიშვნა: ამ პუნქტის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ საქმეებს ამხანაგურ სასამართლოებში გადააგზავნიან მილიციის, პროკურატურის ორგანოები და სასამართლო. იმ შემთხვევაში, როცა დამრღვევის სამუშაოსა და საცხოვრებელ ადგილზე ამხანაგური სასამართლო არ არსებობს, აგრეთვე თუ დამროვევის პიროვნების შესახებ მონაცემები და საქმის გარემოებანი მოწმობენ, რომ ამხანაგურ სასამართლოში მისი განხილვა მიზანშეუწონელია, საქმეს განიხილავს კანონით დადგენილი წესით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო;

2) საზოგადოებრივ ადგილებში და სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება და უღირსი საქციელი; არყის და სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა, თუ ეს ჩადენილია პირველად, გამოხდილია მცირე რაოდენობით და მისი გასაღება მიზნად არ ყოფილა დასახული.

3) ქალებისადმი არასაკადრისი დამოკიდებულება, შვილების აღზრდის ვალდებულების შეუსრულებლობა და მშობლებისადმი უღირსი დამოკიდებულება;

4) შეურაცხყოფა, კოლექტივის წევრის შემარცხვენელი მონაჭორის გავრცელება, ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება, თუ ამას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა და თუ ეს ჩადენილია პირველად, უწმაწური სიტყვების ხმარება;

5) ხეებისა და სხვა მწვანე ნარგავების დაზიანება;

6) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და კომუნალური მოწყობილობის დაზიანება, თუ ამას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზარალი; სახანძრო უსაფრთხოების წესების დაუცველობა;

7) ბინებში და საერთო საცხოვრებლებში შინაგანაწესის დარღვევა; დამხმარე სათავსებით, შრომელებით სარგებლობის, კომუნალური მომსახურების ანაზღაურების, საერთო სარგებლობის ადგილების მიმდინარე შეკეთების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მცხოვრებთა დავა და სახლის თანამფლობელთა შორის მიწის ნაკვეთებით სარგებლობის წესის დადგენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღისიერი დამოკიდებულების შედეგად მოცდენა; უსაფრთხოების ტექნიკის და შრომის დაცვის სხვა წესების დაუცველობა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებსაც მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა; მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად ინვენტარის, ხელსაწყოიარაღების, მასალისა და სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება, დაკარგვა, დაზიანება, თუ ამას მნიშვნელოვანი ზარალი არ მოჰყოლია;

სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ჩარხების, ხელსაწყო-იარაღების, ნედლეულისა და სხვა ქონების პირადი მიზნით თვითნებურად გამოყენება. თუ ამ მოქმედებას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუყენებია აღნიშნული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის;

პირველად ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების მოხმარებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირე ღირებულების საგნების პირველად ჩადენილი ქურდობა, იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან;

შენიშვნა: ამ პუნქტის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ საქმეებს ამხანაგურ სასამართლოებში გადააგზავნიან მილიციის, პროკურატურის ორგანოები და სასამართლო. იმ შემთხვევაში, როცა დამრღვევის სამუშაოსა და საცხოვრებელ ადგილზე ამხანაგური სასამართლო არ არსებობს, აგრეთვე თუ დამროვევის პიროვნების შესახებ მონაცემები და საქმის გარემოებანი მოწმობენ, რომ ამხანაგურ სასამართლოში მისი განხილვა მიზანშეუწონელია, საქმეს განიხილავს კანონით დადგენილი წესით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო;

2) საზოგადოებრივ ადგილებში და სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება და უღირსი საქციელი; არყის და სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ გამოხდა, თუ ეს ჩადენილია პირველად, გამოხდილია მცირე რაოდენობით და მისი გასაღება მიზნად არ ყოფილა დასახული.

3) ქალებისადმი არასაკადრისი დამოკიდებულება, შვილების აღზრდის ვალდებულების შეუსრულებლობა და მშობლებისადმი უღირსი დამოკიდებულება;

4) შეურაცხყოფა, კოლექტივის წევრის შემარცხვენელი მონაჭორის გავრცელება, ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება, თუ ამას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა და თუ ეს ჩადენილია პირველად, უწმაწური სიტყვების ხმარება;

5) ხეებისა და სხვა მწვანე ნარგავების დაზიანება;

6) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და კომუნალური მოწყობილობის დაზიანება, თუ ამას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზარალი; სახანძრო უსაფრთხოების წესების დაუცველობა;

7) ბინებში და საერთო საცხოვრებლებში შინაგანაწესის დარღვევა; დამხმარე სათავსებით, შრომელებით სარგებლობის, კომუნალური მომსახურების ანაზღაურების, საერთო სარგებლობის ადგილების მიმდინარე შეკეთების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მცხოვრებთა დავა და სახლის თანამფლობელთა შორის მიწის ნაკვეთებით სარგებლობის წესის დადგენა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) მოქალაქეთა შორის ქონებრივი დავა, თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 50 მანეთს და მოდავენი თანახმა არიან საქმე განიხილოს ამხანაგურმა სასამართლომ; დავა იმ ნაგებობათა სარგებლობის წესის თაობაზე, რომლებიც შეადგენენ ორი ან რამდენიმე მოქალაქის საერთო საკუთრებას, საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფა და საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა, მეუღლეთა შორის ქონების გაყოფა, თუ მოდავენი თანახმა არიან საქმე განიხილოს ამხანაგურმა სასამართლომ;

9) სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელი, თუ ამას არ მოსდევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

10) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუ ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება, საჭიროდ მიიჩნევენ ასეთი საქმე განსახილველად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს; თვითნებობა, ავადმყოფისათვის დახმარების არ-აღმოჩენა, უკანონო ექიმობა, ქონების შეძენა, რომელიც აშკარად დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული და სხვა დანაშაულებრივი ქმედობა, თუ იგი არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მილიციის, პროკურატურის ორგანოები ან სასამართლო საჭიროდ მიიჩნევენ ასეთი საქმე განსახილველად გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს".

5. დებულების 9 მუხლს სიტყვების შემდეგ: „მათი შემოსვლის მომენტიდან" დაემატოს სიტყვები: „წვრილმანი ხულიგნობისა და წვრილმანი სპეკულაციის საქმეებს ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ 7 დღის ვადაში მათი შემოსვლის მომენტიდან".

6. დებულების 10 მუხლს სიტყვების შემდეგ: „და მოწმეების გამოწვევა" დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი: „დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საქმის განხილვისას, თუ საჭირო იქნა, ამხანაგური სასამართლო მიიღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამხანაგური სასამართლოს სხდომაში იმ კოლექტივის წარმომადგენლების მონაწილეობას, სადაც მუშაობს დამრღვევი".

7. ღებულების 11 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ამხანაგურ სასამართლოში გადაცემულ პირს, დაზარალებულს და მოდავეებს შეუძლიათ მისცენ აცილება ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს, თუ მათ საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ან წევრი შეიძლება პირადად იყვნენ დაინტერესებული საქმის შედეგებით. აცილების დაკმაყოფილების ან უარყოფის საკითხს გადაწყვეტს ამ საქმის განმხილველი ამხანაგური სასამართლოს მთელი შემადგენლობა".

8. დებულების 13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნაწილი: „თუ საქმის განხილვა მოხდა დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია გარდა ამისა თავისი გადაწყვეტილება აცნობოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ პირის სამუშაო ადგილის მიხედვით".

9. დებულების 15 მუხლის 6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე და მესამე ნაწილები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დააყენოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე საკითხი დადგენილი წესით იმ პირის დათხოვნის შესახებ, რომელიც ასრულებს არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებულ სამუშაოს ან სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური ფასეულობის გამგებლობასა და შენახვასთან, თუ ამხანაგური სასამართლო ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით შეუძლებლად ჩათვლის შემდგომში ამ სამუშაოს მინდობას მისთვის;

დააყენოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება, პირადი საკუთრების — მოხმარებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირე ღირებულების საგნების ქურდობა, რომლებმაც ვინნეს სცემეს, მიაყენეს სხეულის მსუბუქი დაზიანება, გაიგზავნონ იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არაკვალიფიციურ ფიზიკურ სამუშაოზე ვადით 15 დღემდე და აუნაზღაურდეთ შესრულებული სამუშაოს ღირებულება“.

დებულების 15 მუხლის 7 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ან თუ იგი ბინის ქირის ურჩი გადამხდელია“.

დებულების 15 მუხლის 8 პუნქტს სიტყვების შემდეგ: „არაუმეტეს 50 მანეთისა“ დაემატოს სიტყვები: „წვრილმანი სპეკულაციის საქმეების განხილვისას ამხანაგურ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ წვრილმანი სპეკულაციის საგნები გადაეცეს სახელმწიფოს შემოსავალში“.

10. დებულების 19 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, დაჯარიმებისა ან სხვა ქონებრივი გადახდევინების შესახებ უნდა შესრულდეს გადაწყვეტილებით აღნიშნულ ვადაში. დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების შეუსრულებლობისას, აგრეთვე წვრილმანი სპეკულაციის საგნების სახელმწიფოს შემოსავალში გადაცემის თაობაზე ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს გადაუგზავნის სახალხო მოსამართლეს, რომელიც წარმოდგენილი მასალებისა და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შემდეგ გასცემს აღმასრულებელ ფურცელს სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით შესასრულებლად“.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წინადადებანი საქართველოს სსრ მოქმედ კანონმდებლობაში იმ ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ბრძანებულებიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ცხოველთა კარანტინის ნორმების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დამრღვევთა, აგრეთვე ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკითხებზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამრღვევთა დაჯარიმების წესის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდეგი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში:

1. მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცში სიტყვები „და ცხოველებისა და მცენარეთა კარანტინის“ შეიცვალოს სიტყვებით: „ცხოველთა კარანტინის წესების, სხვა ვეტერინარულ-სანიტარული წესების და მცენარეთა კარანტინის წესების“.

2. მე-15 პუნქტს მერვე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებს — სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ცხოველთა კარანტინის ნორმების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დარღვევისათვის, აგრეთვე ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკითხებზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 28 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ, ამასთან გათავისუფლდეს ამ მოვალეობისაგან თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი.**

2. დამტკიცდეს თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

3. დამტკიცდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრებად:

გაბრიელ ნოეს ძე **გოშაძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ამასთან გათავისუფლდეს იგი ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან;

დავით ილარიონის ძე **ბალანჩივაძე,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 28 იანვარი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“:**

1. გაჩიკ ვაგრამანის ძე **ელოიანი** — თეთრიწყაროს საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

2. შოთა მიხეილის ძე **ჩარკვიანი** — ქ. თბილისის № 133 მაღაზიის გამგე.

3. გრიგოლ ბესარიონის ძე **ჩიგვარია** — ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცაგერის რაიონული საბჭოს უფროსი ბუღალტერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 341 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		86
ქ. ჭიათურიდან		5
ქ. ქუთაისიდან		7
ქ. რუსთავიდან		7
ახალქალაქის	რაიონიდან	43
ახალციხის	„	27
გურჯაანის	„	7
ზუგდიდის	„	22
მახარაძის	„	36
მარნეულის	„	24
საჩხერის	„	73
ყაზბეგის	„	4

9362